

# საქართველოს მთავრობის

დადგენილება №388

2016 წლის 8 აგვისტო

ქ. თბილისი

მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შესრულებისათვის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულების უფლებამოსილების მქონე პირის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ

## მუხლი 1

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 11<sup>2</sup> მუხლის საფუძველზე, დამტკიცდეს:

1. მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესი (დანართი №1).
2. საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შესრულებისათვის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულების უფლებამოსილების მქონე პირის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების წესი (დანართი №2).

## მუხლი 2

1. ამ დადგენილების ამოქმედებამდე, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის წარდგენილ განცხადებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები მიღებულ იქნეს მოთხოვნის წარდგენის მომენტისათვის მოქმედი წესის შესაბამისად.
2. ამ დადგენილების ამოქმედებამდე შედგენილი მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზები, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ან მიწის ნაკვეთის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მიზნით, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეიძლება წარდგენილ იქნეს 2016 წლის 1 ოქტომბრამდე.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №424 - ვებგვერდი, 01.09.2016წ.

## მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი

